



SOCIÉTÉ FRANÇAISE
DE PHARMACIE ONCOLOGIQUE
ONCOLIEN®

პაციენტის საინფორმაციო ფურცელი



RELUGOLIX - ORGOVYX®

რა არის ORGOVYX

მოლეკულის აღწერა	აღწერა
რელუგოლიქსი	120 მგ-იანი აბი 

როგორ უნდა მიიღოთ წამალი?

წამლის დოზირება განსაზღვრულია თქვენი ექიმის მიერ.

თქვენს შემთხვევაში, არის 360 მგ, ანუ 120 მგ-იანი 3 აბი პირველ დღეს, რომელსაც მოჰყვება 120 მგ-იანი 1 აბი/დღეში, რომელიც უნდა მიიღოთ ერთ მიღებაზე, ყოველდღე.

ტაბლეტი უნდა გადაყლაპოთ მთლიანად, ერთ ჭიქა წყალთან ერთად, დააქუცმაცების, გატეხვისა და გააბნევის გარეშე. მიიღეთ ფიქსირებულ დროს, საკვებთან ან მის გარეშე.

თუ დაგავიწყდათ მიღება: მიიღეთ 12 საათის განმავლობაში შესაბამისი დოზა. სამაგიეროდ, ღებინების შემთხვევაში, არ მიიღოთ დამატებითი დოზა. დაელოდეთ შემდეგ მიღებას.

დოზირება - მიღების წესი

ერთი მიღება დღეში, ფიქსირებულ დროს, საკვებთან ან მის გარეშე	  
	       ...  დ1 დ2 დ3 დ4 დ5 დ6 დ7 ... დ28

როგორ მოიქცეთ, რომ არ გამოგელით მარაგი?

ეს წამალი ხელმისაწვდომია ქალაქის აფთიაქებში.

მის მიწოდებას შესაძლოა დასჭირდეს გარკვეული დრო. ყურადღებით იყავით და დაგეგმეთ რეცეპტის განახლება წინასწარ.

გთხოვთ შეინახოთ ეს წამალი ორიგინალ შეფუთვაში, სითბოსა და ტენიანობისგან დაცულ ადგილას.

სხვა რა ინფორმაცია უნდა იცოდეთ?

გამარფროთხილებელი ზომები და მეთვალყურეობა

თქვენი მედიკამენტის მიღება საჭიროებს ბიოლოგიურ (სისხლის საერთო ანალიზის აღება, რომელიც საშუალებას იძლევა დავაკვირდეთ სისხლის ანალიზის მაჩვენებლებს და ღვიძლის ფუნქციას) და კლინიკურ მეთვალყურეობას (ელეატროკარდიოგრამა).

კონტრაცეფცია

ეს წამალი შეიძლება ზიანს აყენებდეს ჩანასახს. თქვენ და თქვენმა პარტნიორმა მკურნალობის მთელი პერიოდის განმავლობაში და მისი შეწყვეტიდან ერთი თვის განმავლობაში უნდა გამოიყენოთ ეფექტური კონტრაცეპტული მეთოდები (პრეზერვატივი და დამატებითი მეთოდი).

მედიკამენტებთან და/ან კვებასთან ურთიერთქმედება

ORGOVYX®-ის სხვა პრეპარატებთან ერთად მიღებამ შესაძლოა გამოიწვიოს არასასურველი ეფექტები (პრეპარატის ეფექტურობისა და ამტანობის შემცირება). ძალიან მნიშვნელოვანია, რომ თქვენი ფარმაცევტი და მკურნალი ექიმი ინფორმირებული იყვნენ ყველა იმ მედიკამენტის და/ან სხვა ნივთიერებების (საკვები პროდუქტები, მცენარეები, პრობიოტიკები, ეთერზეთები, საკვები დანამატები და სხვ.) შესახებ, რომელსაც იღებთ

მაგალითი: მოერიდეთ კრაზანას მიღებას VERZENIOS®-თან ერთად.

რომელია არასასურველი გვერდითი მოვლენები?

ყველაზე გავრცელებული გვერდითი მოვლენები ჩამოთვლილია ქვემოთ. ასევე შესაძლოა სხვა გვერდითი ეფექტებიც გამოვლინდეს. დამატებითი ინფორმაციისთვის გაეცანით მედიკამენტის



SFPO-ს ონკობმული ხელმისაწვდომია Creative Commons Attribution - გაზიარება იგივე პირობებში ლიცენზიის პირობების შესაბამისად 4.0 International .

ემყარება შემდეგ ნაშრომს <https://oncolien.sfpo.com>.

ამ ლიცენზიის გარეთ ავტორიზაციის მოპოვება ხდება შემდეგ ბმულზე <https://www.sfpo.com>

საფრანგეთის ონკოლოგიური ფარმაციის საზოგადოება – ქიმიოთერაპიის გაცემის დახმარების ფურცელი ჯანდაცვის პროფესიონალებისთვის

ინსტრუქციას ან მიმართეთ ექიმს ან ფარმაცევტს.

გვერდითი მოვლენები	
ყველაზე ხშირი	მომწვევადელი სისტემის დარღვევები: დიარეა, შეკრულობა, ღებინების შეგრძნება, ღებინება, წონის დაკარგვა სისხლძარღვთა დარღვევები: ჰიპერტენზია, მოულოდნელი შეხურება კანის დარღვევები: გამონაყარი სისხლის ანალიზის ანომალიები: ჰელოგლობინის დანევა(ანემია), ღვიძლის ფუნქციის დარღვევები სხვა: ტკივილი სახსრების არეში, დაღლილობა
როდის უნდა მიმართოთ სამედიცინო გუნდს?	
გააფრთხილეთ სამედიცინო გუნდი შემდეგ შემთხვევებში, თუ არ გაქვთ მიღებული კონკრეტული სამედიცინო რეკომენდაციები	მომწვევადელი სისტემის დარღვევები: თუ დიდი რაოდენობით დაკარგეთ წონა და/ან სწრაფი და ძალიან ხშირი დიარეა გაქვთ და 4-ზე მეტზე გადიხართ კუჭში შეუძლებლობა დალიოთ 24 საათის განმავლობაში და/ან მიიღოთ საკვები 48 საათის განმავლობაში კუჭში გასვლა კვირაში 3-ზე ნაკლებ ჯერ ჰიპერტენზიის მაჩვენებელი სიმპტომები: თავის ტკივილი, ყურებში ზუზუნი და/ან თავბრუსხვევა კანის დარღვევები: დიდი ბუშტუკების გაჩენა კანზე ან კანის მნიშვნელოვანი აქერცვლა ტკივილები, რომელიც ხელს გიშლით ჩვეულ აქტივობებში: სახსრების ტკივილი
როგორ უნდა მოახდინოთ გვერდითი მოვლენების პრევენცია?	
წონა	გააკონტროლეთ რეგულარულად თქვენი წონა კუჭ-ნაწლავის დარღვევების დროს.
უეცარი შეხურება	დაკავდით ადაპტირებული ფიზიკური აქტივობით აირიდეთ თავიდან სიცხის წყარო.
კანის მოვლა	ჰიგიენისთვის უპირატესობა მიანიჭეთ რბილ საპონს და დამატენიანებელ კრემს, გაიშრეთ ტამპონირებით. მოერიდეთ ნებისმიერი გამაღიზიანებელი საშუალების გამოყენებას. მზისგან დასაცავად გამოიყენეთ დიდი ზომის სათვალეები და მოერიდეთ მზებზე გასვლას.
სახსრების ტკივილი	დაკავდით ადაპტირებული ფიზიკური აქტივობით
დაღლილობა	ამჯობინეთ ისეთი აქტივობები, რომლებიც თქვენს კარგად ყოფნას უწყობს ხელს, განსაკუთრებით კი ადაპტირებული და რეგულარული ფიზიკური აქტივობა : სიარული, მებაღეობა, ცურვა, ველოსიპედით სიარული, სპორტი. ჩაანაცვლეთ აქტივობის პერიოდი დასვენებით და პირიქით.
როგორ უნდა დაიწყოთ ადაპტირებული კვება?	
დიარეა	უპირატესობა მიანიჭეთ დაბალი რაოდენობის ბოჭკოიან საკვებს. მიიღეთ უკეთეს შემთხვევაში სახამებლიანი პროდუქტები, სტაფილო და ბანანი. არ მიირთვათ უმი ხილი და ბოსტნეული, რძის პროდუქტები, ყავა და ალკოჰოლი. დალიეთ წყალი დიდი რაოდენობით..
შეკრულობა	უპირატესობა მიანიჭეთ დაბალი რაოდენობის ბოჭკოიან საკვებს. დალიეთ წყალი დიდი რაოდენობით.
გულისრევა, ღებინება	უპირატესობა მიანიჭეთ ფრაგმენტულ კვებას, რომელიც გადანაწილებულია რამდენიმე მსუბუქ რაციონად. საკვები უნდა იყოს თხევადი და ცივი. შეზღუდეთ ცხიმოვანი, შემწვარი და ცხარე



უეცარი შეხურება	შეზღუდეთ ცხარე საკვები ალკოჰოლთან ან კაფეინთან ერთად დალიეთ ცივი სასმელები დიდი რაოდენობით
-----------------	---

